

შესავალი

სსიპ – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში

– უნივერსიტეტი) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო შექმნილია იმისათვის რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკუთარი მისიისა და მიზნების რეალიზება და შეძლოს ინსტიტუციის თანმიმდევრული განავითარება.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულ იქნა საუკეთესო ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზებით და მიზნად ისახავს უნივერსიტეტში არსებულმა ყველა როგოლმა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირებმა სრულფასოვნად მიიღონ ინფორმაცია ინსტიტუციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი სამქიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

(მიზანი, კომპონენტები, ინსტრუმენტები, პროცესები)

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევას, რისთვისაც უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების უნივერსიტეტში დანერგვას.

უნივერსიტეტის სტრუქტურით გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როგორც ცენტრალურ, ასევე ფაკულტეტების დონეზე. სამსახურის საქმიანობა ეფუძნება ეროვნულ (ავტორიზაციისა და აკრედიტაციის) საერთაშორისო ((Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area) სტანდარტებს და მისი მიზანია უნივერსიტეტში უზრუნველყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უწყვეტად და სისტემურად გამოყენების პროცესების აღმინისკრირება PDCA (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და რეაგირება) ციკლის გამოყენებით.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შედგება სამი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან, რომელიც ითვალისწინებს: [ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას](#); [დადგენილი ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას](#); [ხარისხის გაუმჯობესებას](#).

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიზანია უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტის და მისი რესურსების უწყვეტი შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით მათი ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

შიდა ხარისხის უმრუნველყოფის პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

სისტემური კვლევების ფარგლებში უნივერსიტეტი უმრუნველყოფს: სტუდენტთა, პროგრამის განამახროციელებელი და აღმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვას.

უნივერსიტეტი ასევე უმრუნველყოფს პროგრამებზე სტუდენტების მიღების, მობილობის, მათი განთესვის შეფასებას, შრომის ბზარის კვლევასა და ანალიზს; კოლეგების შეფასებას; ფინანსურ და ეკონომიკურ შეფასებას, ინტერნაციონალიზაციის შეფასებას, კვლევის ხარისხის შეფასებას. გარე შეფასებას (ინსტიტუციურ და პროგრამების დონეზე).

გემოთ დასახელებული შიდა ხარისხის უმრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენებით უნივერსიტეტი უმრუნველყოფს ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობისათვის სამი ძირითადი პროცესის შეფასებას :

1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება;
2. უნივერსიტეტის რესურსებისა და მართვის ეფექტიანობის შეფასება;
3. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასება.

1. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები

1. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები

უნივერსიტეტი მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

✚ დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დასაქმებულების გამოკითხვა;

✚ სტუდენტთა მიღების, პროგრამის დასრულებისა და მათი განთესვის მაჩვენებლის ანალიზი; ✚

სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი;

✚ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; ✚

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

✚ სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი;

✚ პროგრამაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასება;


✚ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ღენადობის მაჩვენებელი; ✚

სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი:

✚ გარე შეფასების შედეგები.

ზემოაღნიშნული რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები პროგრამის შესახებ თავს იყრის პროგრამის განვითარების მიზნის მომზადებულ ყოველწლიურ ანგარიშში, რომლის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ჩართულობით და აკადემიურ საბჭოზე განხილვის შემდეგ მიიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების პროცედურის გამოყენების სქემა N1




პროგრამებში ცვლილებების განხორციელება შეიძლება მოხდეს პროგრამის წილური ანგარიშისგან დამოუკიდებლად, შიდა ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით (სისტემური თუ საჭიროებებზე დაფუძნებული), მაგ: შრომის ბაზრის ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, მათი პროგრესისა თუ განთესვის მაჩვენებელი, მობილობის მაჩვენებელი და სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, აგროვებს პროგრამებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ურთიერთშეჯერებით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

2. უნივერსიტეტის რესურსებისა და მართვის ეფექტიანობის მიღწევის ინსტრუმენტების ეზრუნველყოფის პროცესები

უნივერსიტეტში რესურსებისა და მართვის ეფექტიანობის შეფასება მოიცავს ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსებისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასებას შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

- ✚ სტუდენტთა ინსტიტუციური და სერვისებით კმაყოფილების კვლევა; ✚
 - სტუდენტთა მიერ ლექტორთა შეფასება;
 - ✚ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება; ✚
 - ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება;
 - ✚ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა; ✚
 - ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
 - ✚ უნივერსიტეტში დოკუმენტების განხილვისა და მათზე რეაგირების ოპერატიულობის კვლევა; ✚
 - დოკუმენტბრუნვის დინამიკის კვლევა;
 - ✚ ინტერნაციონალიზაციის შეფასება;
 - ✚ ფინანსური და ეკონომიკური შეფასება;
 - ✚ უნივერსიტეტის მიერ საბიბლიოთეკო რესურსების განახლებისა და გაზრდის დინამიკის შესახებ კვლევა; ✚
- ინფორმაციული ინფრასტრუქტურის რაოდენობა წლების მიხედვით და მათი ანალიზი.

2. უნივერსიტეტის რესურსებისა და მართვის ეფექტიანობის შეფასების გამოყენების პროცედურის სქემა N2



1. პირველ ეტაპზე ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის უნივერსიტეტის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული მონაცემების /სტატისტიკის/კვლევების შედეგების მიწოდება.

2. შემდეგ ეტაპზე სტრუქტურული ერთეულები ახდენენ შეფასების შედეგების ანალიზს და მათ ასახვას წლიურ ანგარიშში.


3. სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებზე და ზემოთ დასახელებული კვლევების/შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე (მათ შორის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებით) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ერთიანი წლიურ ანგარიშს, რომელიც განიხილება წარმომადგენლობით საბჭოზე აკადემიური საბჭოსა და საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით, სადაც ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. უნივერსიტეტის წლიური ანგარიში განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

4. დასკვნით ეტაპს წარმოადგენს შესაბამისი

ცვლილებების განხორციელება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

3. უნივერსიტეტის კვლევითი პროცედურის სქემა N3

საქმიანობის შეფასების გამოცნების



1. თვალაპირველად ფაკულტეტები ამზადებენ კვლევითი საქმიანობის წლიურ ანგარიშს და წარუდგენენ მას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით სამსახურთან¹ ერთად, აფასებს წარმოდგენილ ანგარიშს და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების/სტატისტიკის და კვლევის შედეგებს, მათ შორის: სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გათვალისწინებული თანხები წლების მიხედვით; აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევები /პროექტები; უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა წლების მიხედვით; უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო კონფერენციები; სამეცნიერო-კვლევით გრანტები და მათი ანალიზი; აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მხარდაჭერის შესახებ.

3. ანგარიში, დამუშავებულ და გაანალიზებულ მონაცემებთან ერთად, წარედგინება თითოეული ფაკულტეტის საბჭოს, სადაც მოხდება პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გამოსწორების გზების შემუშავება; ფაკულტეტების საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შემუშავებული პრობლემების მოგვარების გზები უკან უბრუნდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამ მონაცემებს და დასკვნებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უგზავნის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

აკადემიური საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმაზე თუ როგორ მოგვარდეს იდენტიფიცირებული კონკრეტული პრობლემა და განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება/განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს/პირს და იღებს გადაწყვეტილებას მომდევნო წელს განსახორციელებელი კვლევითი პროექტების შესახებ.

4. დასკვნით ეტაპზე ფაკულტეტების უზრუნველყოფილი იქნება დაგეგმილი კვლევით პროექტების განხორციელება.

¹ ამოქმედდება 2020 წლის იანვრიდან.

1. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა

სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მიზანია სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებზე:

- ✚ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- ✚ მატერიალურ ტექნიკური რესურსები; ✚
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- ✚ სასწავლო პროცესი;
- ✚ პროცედურები;
- ✚ სტუდენტური სერვისები.

ცხრილი 1 სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მახასიათებლები

კვლევის ტიპი	სტუდენტების კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	ერთხელ წელიწადში აკადემიური სასწავლო წლის ბოლოს (მაისი / ივნისი)
კვლევის ანგარიშის მომზადება	ივლისის პირველი კვირა
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოპასუხების მინიმალური პროცენტი	35%
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	ფაკულტეტები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეა ღია და დახურული კითხვებით

2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის მიზანია მათგან უნივერსიტეტის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ უკუკავშირის მიღება:

- ✚ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- ✚ მატერიალურ ტექნიკური რესურსები; ✚ საბიბლიოთეკო რესურსები;
- ✚ მართვის სტილი;
- ✚ საკადრო პოლიტიკა (ანაზღაურება, წახალისების მექანიზმები, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა); ✚ უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო და კლევითი საქმიანობის შესაძლებლობების შეფასება;
- ✚ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება; ✚ უნივერსიტეტთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გეგმები

ცხრილი 2 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა

კვლევის ტიპი	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა
რესპონდენტები	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური სასწავლო წლის ბოლოს (მაისი/ ივნისი)
კვლევის ანგარიშის მომზადება	ივლისის პირველი კვირა
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოპასუხების მინიმალური პროცენტი	60%
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	ფაკულტეტები, HR
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა (survey monkey ან სხვა ელ პლათფორმის მეშვეობით)
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკევა ღია და დახურული კითხვებით

3. ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის მიზანია შეისწავლოს მათი დამოკიდებულება დაწესებულების საქმიანობის შემდეგი ასპექტების მიმართ:

- ✚ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- ✚ მატერიალურ ტექნიკური რესურსები; ✚
- მართვის სტილი;
- ✚ საკადრო პოლიტიკა (ანაზღაურება, წახალისების მექანიზმები, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა); ✚
- სამუშაოთი ზოგადი კმაყოფილება

ცხრილი 3. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა

კვლევის ტიპი	უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა
რესპონდენტები	ადმინისტრაციული პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური სასწავლო წლის ბოლოს (მაისი / ივნისი)
კვლევის ანგარიშის მომზადება	ივლისის პირველი კვირა
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოპასუხების მინიმალური პროცენტი	60%
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	HR
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა (survey monkey ან სხვა ელ პლათფორმის მეშვეობით)
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

4. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა არის ერთ-ერთი საშუალება სასწავლო პროგრამის/კურსის საგანმანათლებლო ამოცანების მიღწევის შეფასებისთვის. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს დააკვირდეს, თვალყური ადევნოს საკუთარი კურსდამთავრებულების პროფესიულ განვითარებას / სტატუსს. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ამოცანებია შეისწავლოს:

- ✚ კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსი (მათ შორის პროფესიით დასაქმება); ✚
- კურსდამთავრებულთა მიერ სამსახურის ძიების სტრატეგიები ლ
- ✚ უნივერსიტეტის არჩევით კმაყოფილება;
- ✚ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის და უნარების შეფასება; ✚
- ლოიალურობა უნივერსიტეტის მიმართ

ცხრილი 4. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

კვლევის ტიპი	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
რესპონდენტები	უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები (სწავლის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ)
კვლევის ჩატარების სიხშირე	ერთხელ წელიწადში, მაისი / ივნისი
კვლევის ანგარიშის მომზადება	ივლისი
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოპასუხების მინიმალური პროცენტი	75%
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უმრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	კარიერის განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა (survey monkey ან სხვა ელ პლათფორმის მეშვეობით)
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკევა ღია და დახურული კითხვებით

5. უნივერსიტეტის პარტნიორი კომპანიების / დამსაქმებელთა გამოკითხვა

უნივერსიტეტის პარტნიორი კომპანიების /დამსაქმებლების კვლევის ამოცანაა შეაფასოს დამსაქმებლების კმაყოფილება დასაქმებულთა კვალიფიკაციით, რამდენად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარჩვევები. კვლევის შედეგების ანალიზი დაეხმარება უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწაში.

ცხრილი 5. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელთა გამოკითხვა

კვლევის ტიპი	უნივერსიტეტის პარტნიორი კომპანიების და დამსაქმებელთა გამოკითხვა
რესპონდენტები	უნივერსიტეტის პარტნიორი კომპანიების და დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლები / მენეჯერული რგოლის წარმომადგენლები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ, მაისი / ივნისი
კვლევის ანგარიშის მომზადება	ივლისი
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოპასუხების მინიმალური პროცენტი	65%
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	კარიერის განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, ფაკულტეტები
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა (survey monkey ან სხვა ელ პლათფორმის მეშვეობით)
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

6. სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კურსების და ლექტორების შეფასება

სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კურსების და ლექტორების შეფასება არის რეგულარული კვლევა, რომლის მიზანია სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება მათი პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებაში შემდეგი მიმართულებით:

- ✚ ლექტორის პროფესიონალიზმი / კვალიფიციურობა; ✚
- ლექტორთან კომუნიკაცია;
- ✚ სასწავლო კურსის სტრუქტურა;
- ✚ სტუდენტების შეფასების ფორმები და მეთოდები; ✚
- სწავლების მეთოდოლოგია;
- ✚ კურსით ზოგადი კმაყოფილება

ცხრილი 6. სტუდენტების მიერ ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტების კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	სტუდენტები

კვლევის ჩატარების სიხშირე	ორჯერ წელიწადში – შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს (თებერვალი/ ივნისი)
კვლევის ანგარიშის მომზადება	მარტის/ივლისის პირველი კვირა
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოპასუხების მინიმალური პროცენტი	35%
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	ფაკულტეტები
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეა ღია და დახურული კითხვებით

კვლევის ტიპი	პროგრამაზე მიღების შეფასება
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ, სექტემბერი
კვლევის ანგარიშის მომზადება	ოქტომბერი/ნოემბერი
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
კვლევის ინსტრუმენტი	სტატისტიკური მონაცემების დამუშავება
კვლევის პროცედურების აღწერა	
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ყოველი წლის არაუგვიანეს 15 სექტემბრისა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს დამუშავებულ ინფორმაციას პროგრამებზე სტუდენტების მიღების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციის მიღებიდან ორი კვირის ვადაში ახდენს მის დამუშავებასა და ანალიზს წინა წლების მონაცემებთან შედარების გზით. დამუშავებული კვლევის შედეგების შედარებას ახდენს სხვა უნივერსიტეტების პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტების მაჩვენებლებთან და უზრუნველყოფს ერთიანი ანალიზის დოკუმენტის მომზადებას (სამი კვირა). არაუგვიანეს 25 ოქტომბრისა. ანალიზის დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადაეგზავნება ფაკულტეტებს, სამოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ასევე უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და განიხილება წარმომადგენლობით საბჭოზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით (არაუგვიანეს 10 ნოემბრისა).	

კვლევის ტიპი	მობილობის კვლევა
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ორჯერ, აგვისტო/თებერვალი
კვლევის ანგარიშის მომზადება	სექტემბერი/მარტი
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ფაკულტეტები
კვლევის ინსტრუმენტი	სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და სტრუქტურირებული ანკეტი და დახურული კითხვებით
კვლევის პროცედურების აღწერა	
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური/ფაკულტეტი წელიწადში ორჯერ არაუგვიანეს 1სექტემბრისა/1მარტისა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს დამუშავებულ ინფორმაციას პროგრამებზე სტუდენტების მობილობის (გარე და შიდა) შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში ახდენს მის დამუშავებასა და ანალიზს წინა წლების მონაცემებთან შედარების გზით და უზრუნველყოფს ანალიზის დოკუმენტის მომზადებას (ორი კვირა) არაუგვიანეს 24 სექტემბრისა/მარტისა. ანალიზის დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადაეგზავნება ფაკულტეტებს, სამოგადაოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ასევე შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განიხილება წარმომადგენლობით საბჭოზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით (არაუგვიანეს 5ოქტომბრისა/აპრილისა).	

კვლევის ტიპი	აკადემიური მოსწრების ანალიზი
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ორჯერ, ივლისი/თებერვალი
კვლევის ანგარიშის მომზადება	აგვისტო/მარტი
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ჩართული მხარე	ფაკულტეტები, საგამოცლო ცენტრი
კვლევის ინსტრუმენტი	სტატისტიკური მონაცემების დამუშავება საგამოცლო ცენტრის ანალიზის დოკუმენტი
კვლევის პროცედურების აღწერა	
ფაკულტეტები წელიწადში ორჯერ არაუგვიანეს 20 ივლისა/20 თებერვლისა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს დამუშავებულ ინფორმაციას პროგრამებზე სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ. საგამოცლო ცენტრი არუგვიანეს 5 აგვისტოს/მარტისა წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშს გამოცდების შედეგების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციის მიღებიდან ორი კვირის ვადაში ახდენს მის დამუშავებასა და ანალიზს წინა წლების მონაცემებთან შედარების გზით და უზრუნველყოფს ანალიზის დოკუმენტის მომზადებას (ორი კვირა) არაუგვიანეს 15 სექტემბერი/ აპრილისა. ანალიზის დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადაეგზავნება ფაკულტეტებს, და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განიხილება აკადემიურ საბჭოზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით (არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა/ 15 აპრილისა).	

კვლევის განხორციელების პროცედურები და პროცესი

პასუხისმგებლობები

ყველა ტიპის კვლევის ადმინისტრირებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. კვლევის ინსტრუმენტების / კითხვარების მოდიფიკაციისთვის, კითხვარების სასწავლო პროცესების მართვის სისტემაში დანერგვის, შედეგების ანალიზის პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და პირებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; ფაკულტეტები; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური; კარიერის განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ასევე უნივერსიტეტი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებით საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა უნივერსიტეტის გარეთ (მაგ: მკვლევარი კონსულტანტი, კვლევითი / საკონსულტაციო კომპანია და სხვა).

კვლევის ინსტრუმენტის მომზადება, მოდიფიკაცია, რევიზია

შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტები პერიოდულად საჭიროებენ მოდიფიკაციას. ამიგომ ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ საჭიროა მოხდეს წინა გამოცდილებაზე დაფუძნებით კითხვარის რევიზია. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ რომელიმე კითხვის ფორმულირება დასახვეწია, დასამატებელია ახალი კითხვები, ამოსაღებია რომელიმე კითხვა. კითხვარის რევიზიის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანშრომლების გარდა შესაძლებელია ჩაერთოს აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულები, ასევე მოწვეული ექსპერტები. მიზნაშეწონილია კითხვარის რევიზიის პროცესი დაიწყოს გამოკითხვის ჩატარებამდე 30 დღით ადრე. კითხვარის საბოლოო რედაქცია უნდა შეთანხმდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

შედეგების ანალიზი და ანგარიშგება

კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თუმცა უნივერსიტეტს შეუძლია შედეგების ანალიზისთვის / ანგარიშის მომზადებისთვის მოიწვიოს გარე ექსპერტები/კონსულტანტები ან გამოიყენოს შიდა რესურსი. იმ კვლევებში სადაც ამის საჭიროებაა (მაგ: სტუდენტთან კმაყოფილების კვლევა) მონაცემების ანალიზისას უნდა მოხდეს სხვადასხვა ჯგუფებს შორის შედარება, მაგალითად საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლის საფეხურის, ლექტორების მიხედვით. კვლევის შედეგები განსახილველად უნდა წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით/აკადემიურ საბჭოებს.

კვლევის შედეგების გავრცელება

კვლევის შედეგების გავრცელება უნდა მოხდეს დაინტერესებულ პირებთან. ზოგიერთი კვლევის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს შიდა დაინტერესებული მხარეები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულები, ფაკულტეტები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები), ზოგ შემთხვევაში კი გარე დაინტერესებული მხარეები (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, აბიტურიენტები, დამსაქმებლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები და ა.შ.) კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას უნივერსიტეტის მარკეტინგული აქტივობების წარმოებისას, სარეკლამო პროდუქციაში (მაგ: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და სხვა.)

კვლევის შედეგების ინტეგრაცია

კვლევის შედეგების გამოყენება მოხდება უნივერსიტეტის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების პროცესისთვის. კვლევის შედეგად გამოვლენილ სისუსტეებზე რეაგირება აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში, ინსტიტუციის მართვის პროცედურებსა და უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმაში/გეგმებში.